[GUARD]EX® გარდექსი

- ორთქლგამტარი
- წყალგამძლე
- ობისგან დამცავი
- ცეცხლგამძლე

[GUARD] EX® | 06/2014

Knauf [GUARD] EX®

ფასადების მოპირკეთების საიმედო მეთოდი

(ETICS - თერმოიზოლაციის გარე კომპოზიტური სისტემები; ვენტილირებადი ფასადების სისტემები)

პროდუქტის აღწერა

გარდექსი არააალებადი, მსუბუქი, ეკოლოგიური, ობის, წყლის, ტენიანობისა და ამინდის ზემოქმედების მიმართ რეზისტენტული შესაფუთი ფილაა თაბაშირის გულით და მინაბოჭკოვანი საფარით ორივე მხრიდან.

- ფილის ტიპი: EN15283-1 + A1 GM-FH1R
- ბოჭკოვანი საფარის ფერი ფილის წინა მხარეს: ლურჯი
- ბოჭკოვანი საფარის ფერი ფილის უკანა მხარეს: ლურჯი

ფილის ზომები
სისქე: 12,5/15 მმ
სიგანე: 1200 მმ
სიგრძე: 2000-3200 მმ

შეფუთვა
12,5 მმ: 50 ცალი/პალეტზე
15 მმ: 40 ცალი/პალეტზე

დასაწყობება
ფილები მათ დაინსტალირებამდე უნდა დასაწყობდეს პალეტზე და დაცული იქნას ტენისა და ამინდის ზემოქმედებისგან.

გამოყენების სფერო

Knauf [GUARD]EX (R)-ის ფილები გამოიყენება თაბაშირმუყაოს სისტემებში შემოსვის სახით, ზემოდან თერმული იზოლაციის ფილებით, და ქარისგან დამცავად ვენტილირებად ფასადებში.

- თერმული გარე კედლები შემოსვის სახით
- გარე კედლები ქარისგან დამცავად ვენტილირებად ფასადებში

მახასიათებლები

- არააალებადი მასალა. ცეცხლთან შეხების შემთხვევაში უმაღლეს შეჭიდულობას ამჟღავნებს.
- მსუბუქი
- მარტივი ინსტალაცია
- მცირე გაფართოება/შეკუმშვა კლიმატური პირობების შეცვლის დროს
- ობის მიმართ გამძლეობა
- მაღალი გამძლეობა წყლისა და ორთქლის მიმართ
- სუნთქვა (წყლის ორთქლის გამტარობა)
- გამოიყენება ფასადებზე.

Knauf [GUARD] **EX**®

ტექნიკური დეტალები

■ ფილის ფორმატი მმ-ში



■ ნაწიბურის ტიპები:

AK



SK

■ ზომების თავსებადობა TS EN 1528-1+A1-ის შესაბამისად

სიგანე: +0/-4მმ
სიგრძე: +0/-5მმ
სისქე:+0,7/-0,7მმ
კუთხოვნება: ≤2,5მმ (ფილის სისქის 1 მ-ზე)

■ გაღუნვის მინიმალური რადიუსი (მშრალ მდგომარეობაში)

ფილის სისქე მმ-ში	გაღუნვის მინ. რადიუსი r მ-ში
12,5 / 15	4



ტექნიკური თვისებები	12,5 მმ	15 მმ	ერთეული	შესაბამისი სტანდარტი
ფილის ტიპი	GM -FH1R			TS EN 15283 - 1 + A1
ცეცხლგამძლეობის კატეგორია	A1			TS EN 13501 - 1
წყლის ორთქლის დიფუზიის ფაქტორი (μ) ■ მშრალი ■ სველი	 10 4			EN ISO 10456
თბოგამტარობა (λ)	0.23		W / (m.K)	TS EN 12664
სიმკვრივე	≥900		კგ / მ³	
წონა	11,5±0,3	13,8±0,3	კგ / მ²	
დატვირთვა დრეკადობაზე ■ გრძივი ■ განივი	≥ 725 / ≥ 870 ≥ 300 / ≥ 360		N N	TS EN 15283 -1 + A1
წყლის შეწოვა	≤ 3		%	TS EN 15283 -1 + A1
გამძლეობა ობის მიმართ	10*			ASTM D 3273 - 12
შეკუმშვა და გაფართოება ■ ჰაერის ფარდ. ტენ.-ის 1%-ით ცვლილებაზე ■ ტემპერატურის 1 კელვინით ცვლილებაზე	0,005 - 0,008 0,013 - 0,02		მმ / მ მმ / მ	

* აღნიშნავს 0% ობიანობას

გარდექსის ფასადის სისტემები

გარდექსის გარე ფილების ETICS - სისტემა
გარდექსის თაბაშირის გარე ფილების ETICS - სისტემა აგებულია ქვეკონსტრუქციის მზიდ კონსტრუქციაზე მიმაგრებით და დგარებს შორის მინერალური ბამბით, თერმული და აკუსტიკური იზოლაციის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ქვეკონსტრუქცია შიგნიდან შემოსილია თაბაშირის ფილით, ხოლო გარედან - გარდექსით. პოლისტირენი (პენოპოლისტიროლო და სხვ.) ან მინერალური ბამბა გამოიყენება გარდექსთან, რათა გაუმჯობესდეს სისტემის თბოიზოლაციური თვისებები.

გარდექსის გარე ფილების შემოსვის ETICS - სისტემა
გარდექსის თაბაშირის გარე ფილების შემოსვის ETICS - სისტემა აგებულია C - დგარების ან UA - პროფილების არსებულ მზიდ კონსტრუქციაზე მიმაგრებით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - არსებულ კედლებზე მიმაგრებით L - კუთხოვანების მეშვეობით; მინერალური ბამბა დგარებს შორის უზრუნველყოფს თერმულ და აკუსტიკურ იზოლაციას. პოლისტირენი (პენოპოლისტიროლო და სხვ.) ან მინერალური ბამბა გამოიყენება გარდექსთან, რათა გაუმჯობესდეს სისტემის თბოიზოლაციური თვისებები.

გარდექსის ვენტილირებადი ფასადების სისტემა
გარდექსის ვენტილირებადი ფასადების სისტემა ეწყობა მეტალის ქვეკონსტრუქციის შენობის მზიდ კონსტრუქციაზე მიმაგრებით და დგარებს შორის მინერალური ბამბით, თერმული და აკუსტიკური იზოლაციის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ქვეკონსტრუქცია იმოსება შიგნიდან თაბაშირის ფილით, ხოლო გარედან - გარდექსით, რომელიც გარე შემოსვის უკან რჩება. ეს სისტემა ფართოდ გამოიყენება შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს მისი სწრაფი, მარტივი და ეფექტური ინსტალაციის გამო.

მარტივი და პრაქტიკული განახლება
გარდექსის ფასადის სისტემები იდეალურია უკვე არსებული შენობებისთვის, რომელთაც თბოიზოლაციის გაუმჯობესება ესაჭიროება. გარდექსის ფასადის სისტემები არსებულ შენობებზე სწრაფად და მარტივად ინსტალირდება, დამატებითი სამუშაოების გარეშე (ფითხი, საღებავი და სხვ.) და მინიმალური დაზიანებებით.

Knauf [GUARD] **EX**®



შპს კნაუფ გიპს თბილისი
საქართველო, თბილისი
ქიზიყის ქ. 17

ტელ.: +995 32 224 25 02 +995 32 224 25 03

ფაქსი: +995 32 224 25 04

www.knauf.ge

info@knauf.ge